# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-399

13/05/2019

ქ. თბილისი

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფელ ცაიშში ფ/პ თამაზ შურღაიას სასათბურე მეურნეობისათვის სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

ფ/პ თამაზ შურღაიას მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია, სასათბურე მეურნეობისათვის სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სასათბურე მეურნეობა მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ცაიშში 1000 მ² ფართობის მქონე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 43.20.42.257). წყალაღება დაგეგმილია მდ. ჯუმიდან, რომელიც სასათბურე მეურნეობიდან დაშორებულია დაახლოებით 180 მეტრით. წყალაღების ადგილის GPS კოორდინატებია: X – 730606; Y – 4700840. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 50 მეტრით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილა 30 სმ. სიღრმის და 180 მ სიგრძის მქონე ტრანშეის გაჭრა (სიგანე 25 სმ), სადაც ჩაიდება 40 მმ დიამეტრის პოლიეთილენის მილი. სამუშაოების პროცესში არა იქნება გამოყენებული რაიმე სახის სპეცტექნიკა. წყლის მდინარიდან ამოღების მიზნით გათვალისწინებულია 1 ცალი 1,5 მ³/სთ წარმადობის ტუმბო. მდ. ჯუმიდან აღებული წყალი, მიეწოდება 1ტ ტევადობის რეზერვუარს, საიდანაც განხორციელდება მცენარეთა მორწყვა.

სასათბურე მეურნეობა წელიწადში მოიხმარს 360 მ³ ზედაპირულ წყალს.

ექსპლუატაციის ეტაპზე, შესაძლო ხმაურის წყაროს - წყლის ტუმბოს სიმძლავრის და მოსახლეობიდან დაშორების გათვალისწინებით, ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.
სამელიორაციო სისტემის მოწყობის ეტაპზე მილის პარამეტრების და 30 სმ თხრილის გაჭრის გათვალისწინებით მნიშვნელოვანი ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე მოსალოდნელი არ არის.

საპროექტო არეალის მდებარეობიდან და საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ბიომრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

პროექტის განხორციელებისას, როგორც მოწყობის, აგრეთვე ექსპლუატაციის ეტაპზე ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი არ არის.

საქმიანობის შედეგად ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. ტრანშეის გაჭრის შემდგომ მისი დაფარვა მოხდება ამოღებული გრუნტით.

სამელიორაციო სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ავარიული სიტუაციებისა და კატასტროფების რისკები არ არსებობს.

სკრინინგის განცხადების თანახმად საპროექტო ზონის სიახლოვეს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ აღინიშნება.

საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ ფიქსირდება დაცული ტერიტორია.

ტექნოლოგიური პროცესის სპეციფიკიდან და ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარწყავის (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია არ არის დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე**

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფელ ცაიშში ფ/პ თამაზ შურღაიას სასათბურე მეურნეობისათვის სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა-ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ფ/პ თამაზ შურღაია ვალდებულია ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ფ/პ თამაზ შურღაიას;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ფ/პ თამაზ შურღაიას მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი